

ძველი ქართული სამართლის ძეგლები და ძირითადი იურიდიული გამოკვლევები ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ
ლევან დარბაიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა. ასპირანტი.

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ძველი ქართული სამართლის ძეგლები და ძირითადი იურიდიული გამოკვლევები ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ. მასში მოცემულია მკვლევლობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება ძველი ქართული სამართლის მიხედვით. ნაშრომში ძველი ქართული სამართლის წყაროების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია მკვლევლობის აღმნიშვნელი ტერმინები, მოცემულია მკვლევლობის სახეები, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვადასხვა ნიშნით. ნაშრომში საუბარია თანამონაწილეობის საკითხებზე, მკვლევლობის რეციდივსა და მკვლევლობის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაზე. მასში მოკლედ ჩამოყალიბებულია მკვლევლობის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებული საკითხები, ბრალის პრინციპი, ბრალის ფორმები, საუბარია განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლევობებზე, ასევე მოკლედ ჩამოყალიბებულია შემთხვევა ანუ კაზუსი. ნაშრომში საუბარია კერძო ხასიათის სასჯელის ისეთ სახეებზე, რაც შუა საუკუნეების ევროპულ სამართალში ცნობილია კომპოზიციის სახელწოდებით.

წარმოდგენილი ნაშრომი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეხება ქართული სამართლის ძირითად წყაროებს და გამოჩენილ მეცნიერთა იურიდიულ გამოკვლევებს მკვლევობასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს იმ მეცნიერთა და დაინტერესებულ პირთათვის, რომელნიც მუშაობენ ძველ ქართულ სისხლის სამართალში ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრობლემებზე.

საკვანძო სიტყვები: სამართლის ძეგლები და იურიდიული გამოკვლევები, მკვლევლობის აღმნიშვნელი, ტერმინები, მკვლევლობის სუბიექტური მხარე, ბრალი და მისი ფორმები, განზრახ მკვლევობა, გაუფრთხილებლობითი მკვლევობა, კაზუსი, თანამონაწილეობა, რეციდივი

საქართველოში ოდითგანვე დანაშაულის ერთ-ერთ უმძიმეს სახეს წარმოადგენდა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის სხვადასხვა პერიოდის ქართული სამართლის ძეგლები. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ასახულია როგორც საკანონმდებლო ხასიათის მქონე აქტებში, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწის მიერ შედგენილ ისტორიულ-სამართლებრივ ნაშრომებში და წარმოადგენს მათ ნააზრევს დანაშაულის ზემოაღნიშნული სახეობის შესახებ.

მკვლევობა, როგორც ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ძველი ქართული სამართლის განვითარების დონის თვალსაზრით, ძალზე სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადებაში. ეს არის მე-14 საუკუნის უმნიშვნელოვანესი ქართული სამართლის ძეგლი, რომელსაც

ლოკალური სამართლებრივი აქტის დანიშნულება ჰქონდა და რომელიც დადგენილ იქნა იმ პერიოდისათვის კულტურული და სამართლებრივი დონით ჩამორჩენილი კუთხის – მთიულეთისათვის.

ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, გიორგი ბრწყინვალეს მეგლის დადება განხილულია ი. დოლიძის მონოგრაფიაში – “გიორგი ბრწყინვალეს სამართალი”, რომელიც გამოიცა 1957 წელს ქ. თბილისში.

მეგლის დადება შედგება შესავლისა და 45 მუხლისაგან და თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას, ე.წ. “სისხლის განაჩენს”. “სამოქალაქო სამართლის საკითხებს კი მხოლოდ ორიოდ მუხლი ეხება”. [1]

გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნში მოცემულია მკვლელობის კლასიფიკაცია მკვლელობის მსხვერპლის საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით, როგორცაა მაგალითად: ერისთავის მკვლელობა, რომელსაც გ. ბრწყინვალე უწოდებს “უსაზომო შეცოდებას”, განმგებლის, ხევსბერის, ხევსბერის “სახლსა შინა მოახლის”, ხევსბერის “განაყოფის” ან “მისი გვარის კაცის”, “ჰეროვანი” კაცის ანუ სოფლის თავკაცის, ციხისთავის, მშობლის, ძმის, მეკობრის, ასაბიას ანუ თანამონაწილის მკვლელობა და სხვ.

გიორგი ბრწყინვალეს სამართლის მიხედვით, შესაძლებელია მკვლელობის კლასიფიკაცია დანაშაულის სუბიექტების მიხედვითაც. მაგალითად, ხევსბერის მიერ ჩადენილი განმგებლის მკვლელობა (მუხლი 5), ხევსბერის მიერ ხევსბერის მკვლელობა (მუხლი 6), ხევსბერის მიერ “ჰეროვანის” მკვლელობა (მუხლი 12), მშობლების მკვლელობა, ჩადენილი შვილის მიერ (მუხლი 15), ძმის მკვლელობა ძმის მიერ (მუხლი 17) და სხვ.

მკვლელობის სუბიექტის აღმნიშვნელი ტერმინებია “მკულელი”, “მომკვლელი”, ხოლო მკვლელობის მსხერპლს “მოკლული” ან “მომკუდარი” ეწოდებოდა. მითითებული დანაშაულის აღმნიშვნელ ტერმინად კი გამოიყენებოდა “მოკვლა”, “მოკულევა” ან “სიკუდილი”.

მკვლელობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის აღების ე.წ. “სისხლ-მესისხლეობის” ინსტიტუტი. ი. დოლიძის აზრით, იმ პერიოდის საქართველოში შურისძიება სისხლის დაურევბამ შეცვალა. სისხლის სამართლის ეს ორი ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ შურისძიება მკვლელობის ჩადენისათვის ითვალისწინებდა დამნაშავის მოკვლას, სისხლის დაურევბა გულისხმობდა დანაშაულის გამოსყიდვას ფულადი ან ქონებრივი საზღაურის გადახდით. დანაშაულის ჩამდენი პირი აღნიშნულ გადასახდს უხდიდა დაზარალებულს ან მის ნათესავებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მითითებული სახე კერძო ხასიათის მანიშნებელია, რაც შუა საუკუნეების ევროპულ სამართალში ცნობილია კომპოზიციის სახელწოდებით.

გიორგი ბრწყინვალეს სამართლის მიხედვით, ჩადენილი მკვლელობისათვის სისხლის დაურევბა ხდებოდა დანაშაულის სიმძიმის, დაზარალებულის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისად.

მეგლის დადების მიხედვით, დანაშაული შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო როგორც ერთპიროვნულად, ასევე თანამონაწილეობითაც, მათ შორის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიც. თანამონაწილეობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო “ასაბია”, ხოლო “თანამონაწილეობის” სუბიექტი – “მოასაბიე”. სამართლის მეგლი იცნობს ასაბიობით ჩადენილ მკვლელობას (მუხლი 40).

გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნის მე-3 და მე-12 მუხლებში მოცემულია გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის შემთხვევები, რასაც ავტორი უწოდებს “ფათერაკობას”.

“წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე” წარმოადგენს XIV საუკუნის ქართული სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლს. ი. დოლიძის გამოკვლევებით, იგი შედგენილი უნდა იყოს 1381-1386 წლებს შორის. სამართლის ძეგლის შესავალი ეკუთვნის სამცხე-საათაბაგოს მთავარს – ალბუღას, პირველი 65 მუხლი – ბექა მანდატურთუხუცესს, 65-ედან 98-ე მუხლამდე კი ალბუღას. 99-ე მუხლიდან 160-ე მუხლის ჩათვლით მოცემული სამართლებრივი დებულებების ავტორია მეფედ-მეფე ბაგრატ კურაპალატი. [2] (თუმცა, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ 160-ე მუხლიდან მომდევნო 15 მუხლის ავტორიც არის ბაგრატ კურაპალატი).

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი, ისევე როგორც გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადება, ადგილობრივი დანიშნულებისაა და მხოლოდ საქართველოს ერთ-ერთი მხარის, სამცხე-საათაბაგოსათვის არის შედგენილი. მასში უმაღლეს ხელისუფლად წარმოდგენილია არა მეფე, არამედ – ათაბაგი, ხოლო მღვდელმთავრად – მაწყვერელი და არა კათალიკოზი.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ასახულია ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლში. აღნიშნული სამართლის ძეგლის მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში მკვლელობის ჩადენისათვის დაწესებული იყო ე.წ. სისხლის ფასი ანუ კომპოზიციის პრინციპი.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის მე-15 მუხლი ითვალისწინებდა “ასაბიას”, ანუ თანამონაწილის მკვლელობას, მე-16 მუხლი – შუაკაცის მკვლელობას, 96-ე და 97-ე მუხლები – ვაჭრის მკვლელობას, ხოლო 22-ე მუხლი – ძმის მიერ ძმის მკვლელობას.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი იცნობს მკვლელობის სუბიექტური შერაცხვის პრინციპს. მასში ჩამოყალიბებულია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის შემთხვევები. მაგალითად, 38-ე მუხლი ეხება ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენელთა შეტაკებას, რა დროსაც ადგილი აქვს ერთ-ერთი მათგანის მკვლელობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის, ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია დაუდევრობით ჩადენილი მკვლელობა, რომელსაც კანონმდებელი უწოდებს “შემთხვევით” ჩადენილ მკვლელობას. ამ სახის დანაშაულისათვის დაწესებული იყო უფრო ნაკლები სისხლის ფასი, ვიდრე განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბექა-ალბუღას სამართლის წიგნში 98-ე მუხლის შემდეგ მოცემულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი. ხსენებული სამართლის ძეგლის ავტორის შესახებ, კერძოდ რომელ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის იგი, იურიდიული გამოკვლევები მიუძღვნეს მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა და ივანე სურგულაძემ. აღნიშნულ საკითხზე წინამდებარე სტატიაში არ შევჩერდებით.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩამოყალიბებულია რამდენიმე მუხლში. მოცემული სამართლის ძეგლი იცნობს მკვლელობის სპეციალურ სუბიექტებს, მაგალითად, აზნაურის მიერ ჩადენილი აზნაურის მკვლელობა (მუხლი 150).

რაც შეეხება მკვლელობის სუბიექტურ მხარეს, ბაგრატ კურაპალატი ასახელებს განზრახ მკვლელობის შემთხვევას, რომელსაც ეძღვნება 117-ე მუხლი.

ზემოაღნიშნული სამართლის ძეგლები შედის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, რომელიც ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვლევისას

განსაკუთრებით უნდა იყოს შესწავლილი. კრებული შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში (1705-1708 წწ.) ქართლის მეფის ბატონიშვილ ვახტანგის მიერ.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ზანდუკი (საძიებელი), შესავალი, საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მოსეს (ებრაული) სამართალი, სომხური სამართალი, ბერძნული სამართალი, კათალიკოზთა სამართალი, გიორგი V ბრწყინვალეს ძეგლის დადება და ბექა-აღბუღას სამართალი.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული საფუძვლიანადაა განხილული მეცნიერ ი. დოლიძის “ქართული სამართლის ძეგლების” პირველ ტომში, რომელიც გამოიცა 1963 წელს ქ. თბილისში.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის – მკვლელობის აღსანიშნავად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ტერმინები, როგორცაა “მკვლელობა” (სომხური სამართალი – მუხლი 115), “მოკლვა” (ვახტანგ VI-ის სამართალი – მუხლი 42, ბერძნული სამართალი – მუხლი 29 და სხვ.), “კაც-კლვა” (ებრაული სამართალი – მუხლი 12 და სხვ.).

ზემოთ ხსენებულის მიხედვით, მკვლელობის სუბიექტის აღმნიშვნელი ტერმინები იყო “მკვლელი” და “კაცისმკვლელი”.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ასახულია მკვლელობის სუბიექტური შერაცხვის პრინციპი და ჩამოყალიბებულია ბრალის ფორმები. მასში საუბარია როგორც განზრახ ჩადენილ მკვლელობაზე (ვახტანგ VI-ის სამართალი – მუხლი 42), ასევე ფათერაკით (გაუფრთხილებლობით) ჩადენილ მკვლელობაზე (ვახტანგ VI-ის სამართალი – მუხლი 92, ბერძნული სამართალი – მუხლი 358 და სხვ.), თუმცა ტერმინი “გაუფრთხილებლობა” კრებულისათვის უცხო არ არის და იგი მოხსენიებულია სომხური სამართლის 377 მუხლში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ფათერაკის-შემთხვევისა (casus) და გაუფრთხილებლობის ცნებები.

მეცნიერი ივ. სურგულაძე მონოგრაფიაში “ქართული სამართლის ისტორიის წყაროები” უფრო დეტალურად ეხება ზემოხსენებულ საკითხს და მაგალითად მოჰყავს ლიტერატურული თხზულება “ამირანდარეჯანიანი”, სადაც ტერმინი ფათერაკი გამოყენებულია შემთხვევის ანუ კაზუსის მნიშვნელობით. ივ. სურგულაძე იხილავს მითითებულ თხზულებაში აღწერილ ერთ-ერთ ეპიზოდს და ასკვნის, რომ ფათერაკი ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს “უბედურებას, ხიფათს”. [3]

ზემოაღნიშნულ სამართლის წიგნთა კრებულის სხვადასხვა მუხლში დასახელებულია მკვლელობის სპეციალური სუბიექტები, საუბარია დანაშაულის სუბიექტური მხარის ისეთ უმნიშვნელოვან ელემენტზე, როგორცაა მკვლელობის მოტივი. მაგალითად, ებრაული სამართლის მე-13 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია შურით ჩადენილი მკვლელობისათვის.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული სრულყოფილადაა ჩამოთვლილი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუკში (კრებულის საძიებელში). [4]

უნდა აღნიშნოს, ასევე ისიც, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში საუბარია მკვლელობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე. მაგალითად, საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინი “უბრალო”. აღნიშნული მუხლის თანახმად, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ჩაუსაფრდება მოსაკლავად, ხოლო მეორე ადამიანი მოკლავს

ჩასაფრებულს, იგი “უბრალოა”, ე.ი. უდანაშაულოდ ითვლება და ასეთი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებული არ არის.

“სამართალი ბატონისშვილის დავითისა” XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილი საკოდიფიკაციო ძეგლია, რომელშიც ასახულია იმ პერიოდის ქართლ-კახეთის ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარების მიმართულებები. სამართლის ძეგლის ავტორია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი – დავით ბატონიშვილი. “სამართალი ბატონისშვილის დავითისა” სიღრმისეულად შეისწავლა და მონოგრაფიის სახით გამოსცა მეცნიერმა დავით ფურცელაძემ 1964 წელს ქ. თბილისში.

დავით ბატონიშვილის სამართალი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა დანაშაულიდან იცნობს მკვლელობას. მასში ჩამოყალიბებულია მკვლელობის სხვადასხვა სახეები: ჩხუბის დროს ჩადენილი მკვლელობა (მუხლი 72), “კაცის კვლა ცოლსა ზედა (მუხლი 75), ტყვეთა მკვლელობა (მუხლი 76), ბრძოლის დროს ჩადენილი მკვლელობა (მუხლი 77) და სხვ.

დავით ბატონიშვილის სამართლის 71-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახ, ანუ “ნებსით და განგებ” ჩადენილი მკვლელობისათვის. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯა.

როგორც მეცნიერი დავით ფურცელაძე აღნიშნავს, “სასჯელის სიმკაცრე მატულობდა, თუ დანაშაული ჩადენილი იყო განზრახვით, შურის გების მოტივით, მზაკვრობით, როგორც ამბობდნენ “ღალატით” და დაუნდობლად (მკვლელობა განზრახვით, “მზირობით, ე.ი. საფარიდან, აგრეთვე გზად შემოყრილი და გარიდებული “უმძრახისა”; მცირე ნაწყენობის დროს მოწინააღმდეგის შესწრება თავის მამულში და მოკვლა; ხდომა და რბევა). [5]

XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს სამართლებრივი განვითარების თვალსაზრისით, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნში საფუძვლიანად არის ჩამოყალიბებული ბრალის საკითხი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკვლელობის და ზოგადად დანაშაულის სუბიექტური შერაცხვის პრინციპის დამკვიდრებისათვის. მასში მოცემულია ბრალის ფორმები: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, ჩამოყალიბებულია სასჯელის სახეები, რაც გათვალისწინებული იყო მკვლელობის ჩადენისათვის, ესენია: ჩამოხრჩობა, ხელის მოკვეთა, პატიმრობა და სხვ.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბრალისა და მისი ფორმების შესახებ დასაბუთებულ მსჯელობას გვაძლევს თანამედროვე მეცნიერი მარინა გარიშვილი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა დავით ბატონიშვილის სამართალი.

მ. გარიშვილის მონოგრაფია “დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი” გამოიცა ქ. თბილისში 2004 წელს. მ. გარიშვილის აზრით, “დავით ბატონიშვილს შემთხვევისა და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა რომ მოეხდინა, მაშინ იგი სუბიექტური ბრალის აბსოლუტურად დამთავრებული მოძღვრების ავტორი იქნებოდა.” [6]

“იოანე ბაგრატიონის სჯულდება”, იგივე მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, ფეოდალიზმის ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლია. მისი ავტორია დავით ბატონიშვილის უმცროსი ძმა – იოანე. აღნიშნული სამართლის ძეგლი შეისწავლა და მონოგრაფიის სახით გამოსცა მეცნიერმა ივანე სურგულაძემ 1957 წელს ქ. თბილისში. სჯულდება, სამართლის სხვა დარგებთან ერთად, შეიცავს საინტერესო ცნობებს სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების შესახებ. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა

დანაშაულიდან აღნიშნული სამართლის ძეგლი იცნობს მკვლელობას. მკვლელობის ჩამდენ პირს ეწოდება “მკვლელი”.

სჯულდება ასახელებს მკვლელობის სპეციალურ სუბიექტებს, როგორცაა “საწამლავით მკვლელი” და “ძმის მკვლელი”. საწამლავით ჩადენილი მკვლელობისათვის დაწესებული იყო ანალოგიური პასუხისმგებლობა, როგორც ჩვეულებრივი მკვლელის მიმართ.

იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში საუბარია მკვლელობის რეციდივზე. აღნიშნული გარემოება მიჩნეული იყო დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად. მკვლელობის მეორედ ჩადენისათვის გათვალისწინებული იყო ორივე ხელის მოჭრა და მონასტერში გამწესება შვიდი წლის განმავლობაში, ხოლო მკვლელობის მესამედ ჩადენისათვის – სიკვდილით დასჯა.

სჯულდება იცნობს, ასევე, მკვლელობის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის ადების შემთხვევასაც: თუ რამდენიმე ადამიანი ერთობლივად განიზრახავენ მეორე ადამიანის მოკვლას, ხოლო შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ნებაყოფლობით უარს იტყვის მკვლელობის განზრახვის სისრულეში მოყვანაზე, იგი არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ დაისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე მკვლელობის ამსრულებელი; ამ შემთხვევაში სასჯელის სახედ განსაზღვრულია გარკვეული მატერიალური ანაზღაურება (“მთელ-მთელი სისხლი თეთრად”) სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სჯულდებისათვის უცხო არ არის კომპოზიციის პრინციპი. ამასთან, მასში ჩამოყალიბებულია მკვლელობის ჩადენისათვის გათვალისწინებული სასჯელის სახეები: “დაბმა” (დაპატიმრებულის დაბმა), “დაბრმავება”, “დაკარგვა” (გადასახლება შორეულ მხარეში), “დაშავება” (სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა), “უდაბნოში დამწყდევა” (სასჯელის მოცემული სახე დაწესებული იყო დამატებითი სასჯელის სახით და შეეფარებოდა ძმის მკვლელობის ჩამდენ პირს ორივე ხელის მოჭრასთან ერთად, “შეჩვენება” (იგივე დაწყევლა, რომელიც წარმოადგენდა საეკლესიო სასჯელის ერთ-ერთი სახეს).

თანამონაწილეობის აღმნიშვნელ ტერმინად იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში მოცემულია “თანაზიარი”.

ქართული სისხლის სამართლის ერთ-ერთი უბადლო მკვლევარი გახლდათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი). მისი სამართლებრივი შეხედულებები დეტალურად შეისწავლა და მონოგრაფიის სახით გამოსცა მეცნიერმა ი. დოლიძემ.

ი. დოლიძის ნაშრომი “ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი) რჩეული იურიდიული ნაწერები” გამოიცა ქ. თბილისში 1982 წელს. აღნიშნული მონოგრაფია შეიცავს ნ. ურბნელის იურიდიულ გამოკვლევებს ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ისტორიის შესახებ.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიდან ავტორი განიხილავს მკვლელობას. “საკვირველია, რომ სალიური კანონი მონის სისხლს უფრო ძვირად აფასებდა, ვიდრემდისინ ჩვენი კანონი გლახკაცისას. მონა დაფასებული იყო ოცდათხუთმეტ ოქროს სოლიდად.” [7] ნ. ურბნელის აზრით, ასეთი შედარება არასწორია, რადგან სალიური სამართლის მიხედვით, მონის მოკვლისათვის დაწესებული კომპოზიცია (“ვერგელდი”) გათანაბრებულია პირუტყვის მოკვლისათვის დაწესებულ გადასახადთან. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის თანახმად, კი ერთი გლეხის მოკვლისათვის დანაშაულის ჩამდენ პირს სამოცი ძროხა, ანუ 12 თუმანი უნდა გადაეხადა, ხოლო ერთი ძროხა ორ მანეთს უდრიდა. ე.ი. ვახტანგის სამართლის წიგნის

შესაბამისად, ყმა გლეხის პიროვნება უფრო დაფასებული იყო, ვიდრე მონა – სალიკური სამართლის მიხედვით.

ძველი ქართული სამართლის სხვადასხვა წყაროების მიხედვით ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ზოგადად, დანაშაულის ინსტიტუტი ძალზე სიღრმისეულად არის განხილული ქართული სამართლის ისტორიის ფუძემდებლის – ივანე ჯავახიშვილის მიერ.

ივ. ჯავახიშვილის “თხზულებანი”-ს VII ტომში, რომელიც გამოიცა თბილისში 1982 წელს, სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული ზოგადი მოძღვრება დანაშაულის ანუ “გარდამავლობითი მოქმედების” შესახებ, ჩამოთვლილია დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები, როგორცაა “გარდასვლა”, “გარდახდომა”, “შეცოდება”, “ბრალი”, “ცოდვა”, “უღებებაი და უგელებლყოფაი საქმისაი” და სხვ., მოცემულია დანაშაულთა კლასიფიკაცია, რასაც ივ. ჯავახიშვილი, ექვთიმე მთაწმინდელის “მცირე სჯულისკანონის” თანახმად, უწოდებს “განყოფილებაი ბრალთაი”-ს. აქვე ჩამოყალიბებულია ბრალეულობის გამომრიცხავი, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და განხილულია დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა.

მკვლელობის სხვადასხვა სახეების მიხედვით, ძველ ქართულ სისხლის სამართალში განსხვავებული ტერმინები გამოიყენებოდა, კერძოდ, “მოკლვაი”, “კაცისკვლაი”, “მკულელობა”.

ღალატით ჩადენილი მკვლელობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: ჩასაფრების აღსანიშნავად – “მზირად წარსლვაი”, ან “მზირ ყოფაი”, ზურგიდან თავდასხმის აღსანიშნავად – “კაცისკლვაი მიპარვითა”, ხოლო აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირს ეწოდებოდა “კაცისმკულელი მოპარვითა”. [8]

საწამლავის გამოყენებით ჩადენილ მკვლელობას ძველ ქართულ სისხლის სამართალში ეწოდებოდა “მწამლველობაი”, ხოლო აღნიშნული დანაშაულის სუბიექტს – “მწამლველნი”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ქართული სამართლის ძირითად წყაროებს და გამოჩენილ მეცნიერთა იურიდიულ გამოკვლევებს მკვლელობასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს იმ მეცნიერთა და დაინტერესებულ პირთათვის, რომელნიც მუშაობენ ძველ ქართულ სისხლის სამართალში ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრობლემებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, თბილისი, 1957 წელი, გვ. 48
2. ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2002 წ., გვ. 318
3. ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბილისი, 2002 წელი, გვ.125
4. ი. დოლიძე, “ქართული სამართლის ძეგლები”, ტომი I, თბილისი, 1963 წელი, გვ. 34-37
5. დ. ფურცელაძე, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბილისი, 1964 წელი, გვ. 093-094
6. მ. გარიშვილი, დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004 წელი, გვ. 151
7. ი. დოლიძე, ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი) რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, 1982 წელი, გვ. 624
8. ივ ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბილისი, 1982 წელი, გვ. 224

სტატია მიღებულია: 2005-05-23